სახალხო გაზეთი

№ 933 ოთხშაბათი, 3 ივლისი 1913 წ. № 933

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ორშაბათს, 1 ივლისს, დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

ალექსი დიმიტრის ძე კულულაშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი: მეუღლე **პელაგია შვილებითურთ და დედა მელანია კულულაშვილები.**

პანაშვიდი ოთხშაბათს, 3 ივლისს, საღამოს 8 საათზე. გასვენება ხუთშაბათს, 4 ივლისს, საკუთარ სახლიდან. დილის 9 საათზე (ეტაფის ქ. № 24 მე-7 საპოლ. ნაწილი) დაკრძალვა მოხდება წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 405

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 3 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

დიდი სახუმარო წარმოდგენა ანუ სიცილ-მხიარულების საღამო

დღეს მონაწილეობას იღებენ ყველა ხუმარები, მასხარები, ექსცენტრიკები, კლოუნ-ხორისტები და ყველა გამოჩენილ ნომრები საცირკო ხელოვნებისა. ესწრაფეთ სანახავად. უკანასკნელი დღეები გამოჩენილი ბულგარელი მოჯირითე ქალი **თამარას** გასტროლებისა. უკანასკნელი გასტროლი გამოჩენილ იტალიელ **დელაკაზოს** ოჯახისა. დღესვე მონაწილეობას იღებენ ტფილისელთა საყვარელნი სადღესო მასხარები და ხუმარები. **ძმ. ვინჩეცოვები.** გამოსვლა ახლად გამოგონილ ასაფეთქებელ ავტომობილით **ბ. გ. გ. ბროკარსისა.** დეპეშა, მოდის მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული **4 ეშმაკი.........?** ანონსი: მოდის შემქმნელი მხიარულ გუნებისა: **„ბუფ-რიჟა" ბ. ბრიკინი.**

დასაწყ. სად. 8 ს.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

388

გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

წარმოდგენის შემდეგ მობრძანდით ბალში **„პარადიზ".** 405

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი გ. ნ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1. ს.
	ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	ტიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 2—3.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12—1.
	ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 10 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ექიმი ბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

ექიმი შ. ა. მიქელაძე. 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ამ წლის 1-ლ აგვისტოდან

ქ. გორში კვლავ გამოვა სასოფლო-სამეურნეო და სალიტერატ. გაზეთი

„ქართლი"

გაზეთი დაიბეჭდება **ყოველ დღე** კვირა-უქმეთა მომდევნო დღეების გარდა. **ფასი გაზეთისა:** 1 წლით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. და 50 კ., სამის თვით 2 მ., 1 თვით 70 კ., ცალკე ნომერი 3 კ.

პირველ ნომრებიდანვე გაზეთ „ქართლ"-ში დაიბეჭდება დიდად საყურადღებო „მოგონებანი" (მ. მუარები) ოლღა ბატონიშვილისა, (მოსკოვში ახლად გარდაცვალებულ ოლღა ილიას (ირაკლი მეფის შვილის) ასულისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

გაზეთის დასაკვეთი ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **ქ. გორი, ი. ცინცაძეს.** 1377

განცხადება

ტფ სათავად-ზნაურ. საადგილ-მამულო

ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

ის მამულები, რომელზედაც ნედოიმკები არის დარჩენილი და ბანკს დარჩა 22, 25 და 27 ივნისს 1913 წ. მომხდარ საჯარო ვაჭრობის შემდეგ,

გაიყიდება მეორე და უკანასკნელ საჯარო ვაჭრობაზე,

რომელიც მოხდება **12 ივლისს,** 1913 წელს, 12 საათზე, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე ქართველ თავად აზნაურთა სახლში. დარჩენილ მამულების სია გამოკიდებულია ბანკის სადგომში. 1376

გროლის ღიმილი

ი. გრიშაშვილისა.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

მვირმვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფი-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცირუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიპრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თბქთბქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი,** მუხრანის ქუჩა, **„შრომის"** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

მეცხრე

საპოლიციო ნაწილში ნადიროვის მამულში, სომხის სემინარიის ახლო, იყიდება ძლიერ ხელსაყრელ ფასად სამი ოთახი თავისი მოწყობილებითა და ბაღით. ავრაგის ქუჩ. ფასების გაგება შეიძლება თვით სახლის პატრონთან, ლუკა პორფილეს ძე წიქარაშვილთან. 403.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით

1035

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

დოქტორი მედიცინისა

ბ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. **12—1 ს.,** საღ. **6—8 ს. ხემიონნოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

არღუთინსკი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ა. ხუდაბაშევი ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბალდთევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოხელიანი ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ზაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ბ ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ. 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-თერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ტფილისი, 3 ივლისი

მეოთხე სათათბიროს პირველი წელიწადი.

მეოთხე სათათბიროს პირველი წელიწადი დასრულდა. დეპუტატები წავიდწამოვიდნენ, შესწყდა საკანონმდებლო მუშაობა. რა გააკეთა მეოთხე სათათბირომ თავის არსებობის პირველ წელიწადში? არა გვგონია ბევრი იყოს ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც ცოტათი მაინც აკმაყოფილებდეს ეს მუშაობა. წელიწადის დასაწყისში საკონსტიტუციო სიტყვა წარმოსთქვა სათათბიროს თავმჯდომარემ როძიანკომ. დაახლოვებით საკონსტიტუციო ხასიათისა იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვაც. სათათბიროს თავმჯდომარის სიტყვა მაშინვე აღნიშნა პრესამა და საზოგადოებამ. აღნიშნა ის, რომ როძიანკომ თავის სიტყვით საკონსტიტუციო პროგრამა დაუსახა სათათბიროს და კატეგორიულად განაცხადა, მეოთხე სათათბიროს მიზანი და ვალია, განახორციელოს 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნული თავისუფლებანიო. მეოთხედ იკრიფება სათათბირო და მეოთხედვე, სხვა და სხვა ვარიაციებით, როგორც ცენტრალურ წარმომადგენელთაგან, ისე სათათბიროს თავმჯდომარეთაგან გვესმის ერთი და იგივე სტერეოტიპიული ფრაზა: საჭიროა 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება. ასეთი სიტყვები მთავრობის სტილად გადაიქცა. მთავრობის წარმომადგენელთ თითქოს თავიანთ ვალდებულებად მიაჩნიათ შესაფერ დროს გამოამჟღავნონ თავიანთი საკონსტიტუციო აზროვნება და დაემყარნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, როგორც საძირკველს.

მიუხედავად ამისა, დღემდის ჯერ არ განხორციელებულა არც ერთი ისეთი რეფორმა, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს 17 ოქტომბრის მანიფესტისაგან. პირიქით, მანიფესტი თავისთვის არის, მთავრობისა და სათათბიროს მოღვაწეობა თავის გზით მიდის. არავითარი ორგანიული კავშირი მათ შორის არ არსებობს. 17 ოქტომბრის მანიფესტი გვეუბნება სიტყვა თავისუფალი უნდა იყოსო, შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი კი ადგენს ბეჭდვითი საქმის ისეთს კანონ-პროექტს, რომელიც მენშიკოვსა და „ნოვოე ვრემია"-საც კი არ აკმაყოფილებს. რაღაც გარდაუვალი კედელი ჰყოფს ერთიმეორისაგან 17 ოქტომბრის მანიფესტსა და სინამდვილეს. მათ შორის თანხმობა კი არა, უფრო ხშირად მყარდება კონფლიქტი. ეს კედელია ძველს ტრადიციებზე აღზრდილი ბიუროკრატია, რომელიც ვერას გზით ვერ შეეგუა ახალს პოლიტიკურ პირობებს და მაგრად ჩაებღაუჭა რეაქციას როგორც ერთად-ერთს მხსნელ იარაღს. მაგრამ თანდათან რეაქციაც ნელდება. ჯავშან შემორტყმული მდგომარეობა დიდ-ხანს შეუძლებელია გაგრძელდეს. ერთხელაც არის უნდა გადასწყდეს ძირითადი საკითხი—ადგება თუ არა რუსეთი ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას. 17 ოქტომბრის მანიფესტი ერთხელაც არის განხორციელების გზას უნდა დაადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის მოსალოდნელი იქნება ისეთი მოვლენები, როგორიც იყო, მაგალითად, მემარჯვენე დეპუტატების ცნობილი პროექტი სათათბიროს დათხოვნის შესახებ. ან „ჰო" უნდა იყოს ან „არა", წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი დაუსრულებელ კონფლიქტებისა და მოულოდნელობის წყაროდ გადაიქცევა.

ყველაზე მეტად და უკეთესად ამას ის პოლიტიკური პარტია უნდა ჰგრძნობდეს, რომელსაც დროშაზე 17 ოქტომბრის მანიფესტი უწერია. მაგრამ ნამდვილად პოლიტიკური გამჭრიახობა ყველაზე სუსტად ამ პარტიამ გამოაჩინა და მორჩილად გაჰყვა რეაქციის ნიავ-ღვარს. იმ ორჭოფულმა პოზიციამ, რომელიც ყოველთვის ეჭირა ოქტომბრისტთა პარტიასა და მის მონათესავე ჯგუფებს, ისეთი მდგომარეობა შეჰქმნა, რომ სათათბირო მხოლოდ მთავრობის სურვილების აღმასრულებელ ორგანოდ გადაიქცა.

სათათბიროს ხელმძღვანელ ჯგუფებს არავითარი გარკვეული გეგმა არა ჰქონდათ მოქმედებისა, და სწორედ ესეც უნდა ჩაითვალოს ერთ იმ მიზეზად, რომ სათათბირო მოჯადოვებულ წრეში ტრიალებდა, მუშაობდა, მაგრამ მაინც ვერაფერს აკეთებდა. ამ ორჭოფულმა პოზიციამ განდევნა სათათბიროდან ფართო პოლიტიკური კანონმდებლობა და გადააქცია იგი ისეთს დაწესებულებად, რომელიც მთელ თავის დროს წვრილმან სრულიად უმნიშვნელო კანონ-პროექტების განხილვას უნდება.

ამ წვრილმანობაში გაატარა პირველი წელიწადი მეოთხე სათათბირომ. კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს წელიწადი უფრო უსარგებლო იყო. აღსანიშნავია იგი მხოლოდ იმით, რომ ამ წელიწადს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან პირველად გაისმა დასაბუთება საქართველოს ავტონომიის მოთხოვნისა. დეპუტატმა გელოვანმა პოლიტიკურ ჩარჩოში მოაქცია ადგილობრივ რეფორმათა მოთხოვნა და ეროვნული მისწრაფების გამაერთიანებელი ფორმულა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე გაიტანა. ეს რომ არა ყოფილიყო, მეოთხე სათათბიროს პირველი წელიწადი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა ჩვენთვის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელი მოკავშირენი ბულგარეთი და სერბია-საბერძნეთი, ნადავლის გასაყოფად ერთმანეთს დაეტაკნენ. გამარჯვება, ჯერ-ჯერობით, საბერძნეთსა და სერბიასა ჰხვდა წილად. ხანგრძლივი არ იყო ეს ახალი ომი, მაგრამ უკვე ზავზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ამის გამო გაზეთი „უტრო როსიი" სწერს:

„დამარცხება ბოლოს ბულგარეთის მთავრობამაც აღიარა. იგი იძულებული გახდა ზავის ჩამოგდება მოეთხოვა. ფერდინანდის მთავრობამ საფრანგეთს მიჰმართა შუამდგომლობისთვის. საფრანგეთის მთავრობამ გუშინვე უკვე მიიღო ზოგიერთი ზომები რომელსაც დაგვირგვინდება შუამდგომლობა საფრანგეთისა, რომელსაც უეჭველია რუსეთი და ინგლისიც დაუჭერს მხარსა, მაშინ ბალკანეთზე შეიქმნება წინანდებული **Status quo ante bellum.** სერბიისა, ბულგარეთისა და საბერ-

ძნეთის დავა რუსეთის სასამართლოს გადაცემა. გიჟურად დაწყებულმა ომმა ვერაფერი გადასწყვიტა და ვერაფრის გადაწყვეტაც ვერ შეეძლო. ეს ომი არის საზარელი ინციდენტი, საშინელი ინტერმედია, რომელიც ერთბაშად შეიჭრა დიპლომატიურ მოლაპარაკების მშვიდობიან მოლაპარაკებაში“.

გაზეთი დარწმუნებულია, რომ ეს დამარცხება ბალკანეთის სახელმწიფოებში ჰეგემონიის ჟინს ჩაჰკლავს და ამით მშვიდობიანობის დამყარებას ხელს შეუწყობს.

სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტ. სააგენტო).

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭომ უკამათოდ მიიღო სათათბიროს რედაქციით 13 კანონ-პროექტი, მათ შორის კანონ-პროექტი, რომელიც უკრძალავს კერძო ოქროსმწარმოებელთ სახაზინო მიწებით სარგებლობას. ფინანსიური კომისიის მოხსენებით მიღებულია ოცდა-ათი კანონ-პროექტი, მათ შორის: სოფლისა და ქალაქის სამღვდელოებისათვის დამატებითი თანხის მიცემის შესახებ, კანონ-პროექტი პრუსიის საზღვარის გამოსწორებისათვის თანხის გადადებისა, ტობოლის, ტომსკის, ენისეის და ირკუტსკის გუბერნიაში, ურალისა, აკმოლინისა, სემირეჩინსკისა და იაკუტის ოლქებში სატუსაღოთა უწყებათა გადაკეთებისა. იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომლითაც 10 მილიონი უნდა გადაიდოს პირველ დაწყებითი სწავლის საჭიროებისათვის, სინოდის ობერ-პროკურორი **საბლერი** ლაპარაკობს, რომ საფინანსო კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რომ ის შეღავათი, რომლითაც სამინისტრო სკოლაში მასწავლებელნი სარგებლობენ მინიჭებული ჰქონდეთ სასულიერო სკოლაში მასწავლებლებსაც; ორატორს ეს სურვილი სამართლიანად მიაჩნია და სთხოვს საბჭოს მიიღოს იგი, მით უმეტეს, რომ იგი ეთანხმება საბჭოსაგან 1912 წელს გამოთქმულ აზრს. თუ საბჭო მიიღებს ამ სურვილს, მაშინ უწყება შემოიტანს კანონ-პროექტს, რომლითაც სამინისტროსა და სასულიერო სკოლების მასწავლებელნი სწორ უფლებიანი იქნებიან. საბჭომ უკამათოდ მიიღო კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით და კომისიის შესწორებით, რომ უწყებამ მალე შემოიტანოს კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ სასულიერო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთ ნება ეძლეოდეთ ყოველ ხუთი წლის შემდეგ მოითხოვონ ჯამაგირის მომატება 60 მანეთით. განსახილველია კანონ-პროექტი ხოლმის გუბერნიაში საადმინისტრაციო დაწესებულებათა შტატის გადიდების შესახებ.

შებეკო. აღნიშნავს, რომ ახლად შექმნილ ხოლმის გუბერნიაში საადმინისტრაციო დაწესებულებანი განსხვავდებიან იმ დაწესებულებებისაგან, რომელნიც პოლონეთში არსებობენ. ამის ასახსნელად სამინისტრომ დაძველებულად სცნო პოლონეთში არსებული დაწესებულებანი ასე რომ—ამბობს ორატორი—უნდა აღვნიშნოთ, ახლად შექმნილ ხოლმის გუბერნიის შესახებ ღონისძიებით მთავრობა საოცარის სისწრაფით ასრულებს, ის ღონისძიებანი კი, რომელთაც პოლონეთის დანარჩენ ათ გუბერნიაში კულტურა უნდა აალორძინონ, საკანონმდებლო დაწესებულებათ საკვირველის აუჩქარებლობით გაჰყავს. კანონ-პროექტები უკამათოდ იქმნა მიღებული სათათბიროს რედაქციით. შემდეგ უკამათოდვე მიიღეს კანონ-პროექტი ქვანახშირის უგადასახადოთ შემოტანის შესახებ. კრების შეწყვეტის შემდეგ მიღებულ იქმნა სათათბიროს რედაქციით 20 კანონ-პროექტი. ხალხის დაუსწრებლად მიიღეს 2 კანონ-პროექტი. შემდეგი კრება მოხდება 3 ივლისს

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ფულის მითვისება.** როგორც გავიგეთ, ამ დღეებში ქალაქის თვითმმართველობაში ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ: სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ერთს დიდს აგენტს ქალაქის სასარგებლოდ აკრებილი ფული (2,500 მან.) მიუთვისებია. ბოროტ-მოქმედების აღმოჩენის შემდეგ დამნაშავეს გაფლანგულ ფულის ნაწილი (1000 მან.) ქალაქის კასაში შეუტანია. დამნაშავეს და გრეთვე საკანტროლო განყოფილების ერთს მოსამსახურეს, რომელსაც პირველთან კავშირი ჰქონია ამ საქმეში, გამგეობა სამსახურიდან ითხოვს.

✦ **ქართულ სიმღერების შეკრება.** ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭომ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, 450 მან. მისცეს კომპოზიტორს ნ. პ. სულხანიშვილს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ქართულ სახალხო სიმღერების შესაკრებად და ნოტებზე გადასაღებად.

✦ **გუბერნატორის შეკითხვა** ამ დღეებში გუბერნატორი ქალაქის მოურავს შეეკითხა, რა მოსაზრებით ჩარიცხეთ ხმოსანად კანდიდატი ა. ნ. მარგოლიუსი, რომელიც ამ ჟამად ტფილისში არა სცხოვრობსო. ქალაქის მოურავმა გუშინ გუბერნატორს წარუდგინა დაწვრილებით წერილობითი მოსაზრებანი, რომლითაც ქალაქის საბჭომ იხელმძღვანელა.

✦ **ხმოსანი ს. გ. მაზმანოვი** ვოლგა-კამის ბანკის ტფილისის განყოფილების გამგედ დაინიშნა.

✦ **მესაქონლეობის უფროსი სპეციალისტი ა. ა. ქალანთარი**, რომელიც გუმბრს იყო წასული მესაქონლეობის გამოფენის გამო, გუშინ ტფილისს დაბრუნდა. გამოფენა დახურულა 30 ივნისს ერევნის გუბერნატორის ტიზენგაუზენისა, გუმბრის ქალაქის მოურავ კამსარაკისა, გამოფენის კომისარი ა. ა. ქალანთარისა და სხვების თანადასწრებით. გამოფენასთან სამი კრება გამართულა. ერთი მეფის მოადგილის თანაშემწის სენატორ ვატაცის მონაწილეობით. განუხილავთ 35 სხვა და სხვა მოხსენება. გამოფენა დაუთვალიერებია 8,000 კაცს, მათ შორის, ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების ზოგიერთს მონაწილეს. შემდეგი გამოფენა განზრახულია სამის წლის შემდეგ.

✦ **პურის მოსავალი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკომერციო განყოფილებამ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს სთხოვა, გაუგზავნოს ცნობები იმისა, წელს პურის როგორი მოსავალია მოსალოდნელი 1909, 1910, 1911 და 1912 წლებთან შედარებით.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** ტფილისს დაბრუნდა კახეთიდან, სადაც წასული იყო ეკლესიების დასათვალიერებლად. ყოვლად სამღვდელოს, სხვათა შორის, სოფელ ქოდალოში, სადაც გადმოსული იმერლობაა დასახლებული, უკურთხებია წმ. გიორგის ახალი ეკლესია.

✦ **საბირჟო ცნობები.** 2 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 50 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ., აძლევენ—82 მ. 75 კ., და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მ. 50 კ., აძლევენ—79 მან., 45 კაპ.

✦ **განსვენებულ თ-დ ი. ს. ჭავჭავაძის ცხედარი** გუშინ ტფილისიდან კახეთს, სოფელს ურიათ-უბანში წაასვენეს. წასვენებამდე მიცვალებულს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ანდერძი აუგეს მრავალ ხალხის თანადასწრებით.

✦ **ლავრენტი მგელაძე,** რომელიც სხვებთან ერთად სამართალში იყო მიცემული ყალბის საბუთებით ფულის ძიების საქმის გამო, ქუთაისის ოლქის სასამართლომ სრულიად უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა. ბ-ნი მგელაძე ამ ჟამად განთავისუფლებულია და ტფილისს ჩამოვიდა. ციხეში ჯდომის დროს (წელიწადზე მეტს იჯდა) საშინელი უბედურება დაატყდა თავსა: მეუღლე გარდაეცვალა და მისი წვრილშვილი უპატრონოდ დარჩა.

საზოგადოებანი და კრებანი

✦ დღეს, 3 ივლისს საღამოს 8 საათზე დანიშნულია **ქარ. სამეურნეო საზოგადოების კრება.** განსახილველი საგნებია: 1) განხილვა გარედ-კახეთის თაობირის პროგრამისა; 2) განხილვა პირობებისა, რომლითაც უნდა შეეკრას სამეურნეო საზოგადოება მამულის პატრონს, მამულის იჯარით აღებაში; 3) კიევის ინსტიტუტის ქართველ სტუდენტების თხოვნა და სხვა მორიგი საკითხი.

ჟურნალისტის დღიური

135.

ქართული გიმნაზია.

ტფილისის ქართული გიმნაზია, რომელსაც უკვე საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას, დღეს ისეთს მდგომარეობაშია, რომ მაშინ, როდესაც მისთვის საბედისწერო საკითხები სწყდება, საზოგადო კრება ვერა სდგება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ჩვეულებრივმა ქართველურმა ინდიფერენტიზმმა, ჩვეულებრივმა ქართულმა დაუდევრობამ აქაც გვეწია. საქმის მდგომარეობა არც ისეთი სახუმაროა, რომ ქართველი საზოგადოება მხარ თეძოზე წამოწვეს და მხოლოდ შორიდან, მიკიბულ-მოკიბულად, ქუჩაში გაგონილი ამბით დაიმშვიდოს გული. ქართულ გიმნაზიის მძიმე ლოდივით დასწოლია გულზე დიდი ვალი, ქართული გიმნაზია კრიზისს განიცდის და იგი კრიზისი სასიკვდილოდ გაჰხდება, თუ დროზე ენერგიული ზომები არ მივიღეთ. მაგრამ როგორ გინდათ ენერგიული ზომები მიიღოთ, როდესაც ბევრისათვის ჯერ კიდევ სადავო გახლავთ—საჭიროა თუ არა ჩვენთვის ქართული გიმნაზია. დავის ატეხა ამ ნიადაგზე სრულიად უსარგებლოდ მიგვაჩნია, მაგრამ, რადგანაც ამ გვარი შეხედულება თანდათან საშიში ჰხდება, ცოტა ხანს შევჩერდებით.

არა ერთხელ და ორჯელ თქმულა როგორც გაზეთის ფურცლებზე, ისე საზოგადო კრებებზე, რომ სწავლა-განათლების საქმემ ჩვენში ისეთი მიმართულება ვერ მიიღო, რანაირიც სასარგებლოა ჩვენთვის. გატაცება კლასიკური ტიპის გიმნაზიებითა და პროგიმნაზიებით შავნებელია. დღეს მშობლები ეტანებიან ამ ტიპის სასწავლებლებს, ქუდმოგლეჯილები მირბიან იქ, საიდანაც, მათის წარმოდგენით, ანათებს ბრჭყვიალა ღილები ჩინოსანისა. მაგრამ დადგება დრო და ულმობელი სინამდვილე ცხვირს მიუჭყლეტავს ასეთ პირებს იმავ ღილებზე, რომელსაც ეხლა შეჰხარიან. სულ სხვანაირია პირობები ჩვენი ცხოვრებისა და სულ სხვანაირი სასწავლებლებია ჩვენთვის საჭირო.

ჩვენ არც ერთი შემთხვევა არ გაგვიშვია, რომ ხაზ-გასმით არ აღგვენიშნა ეს და არ გაგვეფრთხილებინა ქართველი საზოგადოება. მაგრამ, როდესაც ქართულ გიმნაზიაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი **სავსებით** ჩვეულებრივი ტიპის გიმნაზია არ არის, მართალია იგი წმინდა ქართული არ არის; იქნება ბევრი ნაკლიცა ჰქონდეს, მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს ერთგვარ **შესაძლებლობას,** რაც სხვა გიმნაზიებზე არასგზით არ ითქმის. ქართულ გიმნაზიას შეგვიძლიან რაოდენადმე მაინც მივსცეთ ისეთი სახე, რანაირიც ჩვენ გვინდა, შევქმნათ იქ ისეთი ატმოსფერა, რანაირიც ჩვენთვის სასარგებლოა. სხვა გიმნაზიები და პროგიმნაზიები კი მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას. ისინი ჩვენი სურვილების გარეშე სდგანან და სრულიად სხვა სტიქიას, სხვა ძალას ემორჩილებიან. ქართული გიმნაზიის მიზანი, **დღევანდელ პირობებში** იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ახალგაზდობის ნაწილი მაინც სახაზინო გიმნაზიების ატმოსფერას ჩამოაშოროს და ჩააყენოს ისეთს პირობებში, რომ ეროვნულად არ გადაგვარდეს. ქართული გიმნაზია ყველა უბედურებათა პანაცეია არ არის, იგი მხოლოდ კორრექტივია, მაგრამ აუცილებელი და სასარგებლო კორრექტივი. მან ცოტაოდენი მალამო მაინც უნდა დასდოს ჩვენს მძიმე ეროვნულ ჭრილობებს.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკითხს, უსათუოდ ანგარიშს გავუწევთ ქართულ გიმნაზიას და კიდეც დავინახავთ, რომ მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ქართული გიმნაზია სხვაა და სახაზინო გიმნაზია—სხვა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ტფილისის გიმნაზიაზე. ტფილისში მრავალი სასწავლებელია; თვითოეული მათგანი ის მავთულია, რომლის საშუალებითაც ცენტრიდან ჩვენი ქვეყნის პერიფერიებს გასაოცარის სიძლიერით ვრცელდება გამარუსებელი ნაკადი, რაც სუსტი იქნება ეს ნაკადი, მით უკეთესია ჩვენთვის. ქართული გიმნაზია ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც ამ ნაკადის სიძლიერეს ასუსტებს და რაოდენადმე მაინც უვნებლად ჰხდის. ასეთს სასწავლებელზე შეუძლებელია უარი ვსთქვათ დღევანდელ პირობებში. იგი აჩლუნგებს იმ იარაღს, რომლის საშუალებითაც დღეს ბევრგან გვებრძვიან. თუ შენსკენ მომართული ბასრი მახვილი დააჩლუნგე, ესეც გამარჯვებად ჩაგეთვლება.

თუ ეს ასეა, მაშინ ერთხელაც არის უნდა მოისპოს უსარგებლო დავა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ჩვენთვის ქართული გიმნაზია, და პირდაპირ შეუდგეთ იმ საშუალებათა გამოძებნას, რომლებიც ქართულ გიმნაზიას განსაცდელიდან დაიხსნიან. ეს საქმე იქნება, სხვა ყველაფერი კი—უქმი წყლის ნაყვა. ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს საშუალება საქმის გამობრუნებისა. ამდენი ხანია იხსნა ეს სასწავლებელი და ახლაც აუცილებლად უნდა გამონახოს საშუალება და ერთხელ და სამუდამოდ ისეთს პირობებში ჩააყენოს იგი, რომ ნორმალურ მსვლელობას არაფერი უშლიდეს ხელსა. ეს ვალდებულებაა ქართველი საზოგადოებისა, და თუ ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, დანაშავე იქნება შთამომავლობის წინაშე.

შინაური.

წერილი სოფ. გუგიდან

„წესიერების დამცველნი“ უწესობის როლში.

23 ივნისს მოხდა კრება დიდი და პატარა გუბის მცხოვრებთა, ხონის ნაწილის ბოქაულის კუხალეიშვილის თანადასწრებით. კრებას უნდა მოესმინა სამოსწავლო მთავრობის მოწერილობა, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგით: „გამოუცხადეთ დიდი და პატარა გუბის მცხოვრებთ, რომ თუ სურთ კიდევ ახალი სკოლის გახსნა იქონიონ მსჯელობა, ხოლო არსებული სკოლები, როგორიც ქალებისა ისე ვაჟებისა თუ არ შეაკეთეს,—მომავალ სამოსწავლო წლიდგან მაცადინობა აღარ იქნებაო“. ნაცვლად იმისა ბოქაულმა გამოუცხადა კრებას: „სამოსწავლო მთავრობა იწერება, დაანგრიეთ არსებული სკოლები ერთი სოფლის ერთს ნაპირში,—პატარა გუბში—გაიტანეთ, ხოლო მეორე—დიდი გუბის ნაპირშიო“. ამაზე დიდი გუბის ნაწილმა და პატარა გუბმა უპასუხა, რომ მათ არ სურთ არსებული სკოლების დანგრევა, რომელნიც სოფლის შუა ადგილას არის არამედ მისი შეკეთება და ორ კლასიანად გადაკეთება. ბოქაულმა დიდი გუბის იმ ნაწილს და პატარა გუბს, რომელთაც არსებული სკოლების დანგრევა არ სურდათ სიტყვის თქმის ნება არ მისცა, ხოლო დანგრევის მსურველები სკამებზე შეუყენებული ალაპარაკა. მასთან იმ ხალხს, რომელნიც წესიერების და კანონიერების ნიადაგზე იდგა,—კრებაზე ხმის უფლების წართმევით ემუქრებოდა, ვინც გაბედავდა სიტყვის თქმის დაწყებას, დაპატიმრებას ემუქრებოდა; ამავე დროს კრება აივსო მთვრალი ხალხით, რომელიც ხელით შეურაცხყოფას აყენებდნენ კრების იმ წევრთ,—რომელნიც კანონიერების და წესიერების ნიადაგზე იდგნენ. მაშინ სკოლების ზედამხედველმა, მასწავლებელმა ლექვინაძემ სთხოვა ბოქაულს, მიეცა მისთვის ნება, წაეკითხა კრებისათვის სამოსწავლო მთავრობის მოწერილობა იმ სახით, როგორც ეს ნამდვილად იყო, მაგრამ მან ჯერ ნება არ მისცა, ხოლო ბოლოს დააპატიმრა კიდეც. მაშინ აღელვებულმა ხალხმა სრულიად მიატოვა კრება ბოქაულითა და მისი დამქაშებით. ყველა ამაების შემდეგ მივაქცევთ როგორც სამოსწავლო მთავრობის,—აგრეთვე გუბერნიის და მაზრის მმართველების ყურადღებას, რომ დაინიშნოს გამოძიება და დამნაშავენი პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი. მასთან ჩამოერთვას უფლება ბოქაულს სკოლების საქმეში გარევისა, თორემ მოსალოდნელია ხალხი ერთმანეთს შეაკვდეს მისი ცალმხრივი მოქმედებით.

კრების ერთი წევრთაგანი

ვლადიმერ მოსეშვილი.

S. P. ვთხოვთ ტფილისის რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

მოწერილი ამბავი

თელავი ამ ექვსი თვის წინად ს. ყვარელში (თელავის მაზრა) გარდაიცვალა ჩვენში საზოგადო საქმეთა გულშემატკივარი თავ. იური ჭავჭავაძე, რომელიც წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის წევრად ითვლებოდა.

განსვენებულს, სხვათა შორის, მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩა,—სწორედ მარშან მომიხდა მისი დათვალიერება,—სადაც ბევრი ძვირფასი წიგნი მოიპოვება: საქართველოს რუსეთთან შეერთების სრული აქტები გინდათ, თუ სხვა ძველი ხელთნაწერები, რომლებიც დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ მეცნიერ-მკვლევართათვის.

სულიერად დამაზინჯებულნი

(დასასრული*)

ასეთი ფაქტი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა აიხსნება მხოლოდ ცოდნის უმთავრესი შინაგანი თვისებით. ეს უმთავრესი თვისება ცოდნის პროცესისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, როგორც ამ წერილის თავში მოვიხსენიეთ, ვარჩევთ სხვადასხ. თვისებას ამა თუ იმ მოვლენისა ანუ ცნებისა და მჭიდროდ ვუკავშირებთ მათ ერთმანეთს. რამდენად უფრო ღრმა არის ეს კავშირი, მით უფრო ღრმა და ნამდვილია ჩვენი ცოდნაც. ამ კავშირის გაღრმავებისათვის, რასაკვირველია, საჭიროა შედარება, რომელიც მით უფრო დიდია, რამდენადაც მეტად ვამოძრავებთ აქტიურ ყურადღებას, ვუფიქრდებით და შეგნებულად ვითვისებთ საგანს. სადაც ასეთი დაფიქრება და შესისხლხორცება არ არის, იქ ცოდნა კი არა, მხოლოდ ბაიყუშობაა.

ეს გარემოება, მე მგონია, გამოუცდია ყველა ჩვენგანს და მეტადრე ამ მოვლენის ხშირი მოწმეა თვით პედაგოგი.

ჩვენს მოსწავლეებს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი იმედი აქვთ ხშირად დამყარებული ეგზამენებზე. ბევრი მათგანი მხოლოდ ასე მსჯელობს: მოვა გამოცდის დრო, მომზადებისათვის რამდენიმე დღეს მოგვცემენ და მაშინაც მოვასწრებ საგნის შესწავლასო.

მართლაც ის 4—5 დღის განმავლობაში დღით და ღამით მეცადინეობს, რომ ერთი წლის ან კიდევ მეტის მასალა გაიაროს, და თავისუფლად ამოისუნთქავს, როდესაც უკანასკნელი გვერდის კითხვას მიადგება. ის კმაყოფილია, რადგანაც ჰგონია, რომ საგანი შეთვისებული აქვს. მიდის გამოცდაზე და თითქოს ეშინია გზაში ცოდნა არ დაეფანტოს. მაგრამ საკმაოა გამოცდილმა პედაგოგმა ორი-სამი კითხვა მისცეს, რომელიც დაკვირვებულ პასუხს თხოულობს, რომ გამოჩნდეს მოსწავლის მოუმზადებლობა და სრული უსუსურობა. თუ კი ასეთმა მოსწავლემ შემთხვევით და მასწავლებლის წინდაუხედველობით გაიმარჯვა, მერწმუნეთ, მისი უცბად შეძენილი ცოდნა სასწავლებლის კარებამდე არ მიჰყვება. ეს სამწუხარო ფაქტი ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებაში აიხსნება მხოლოდ იმით, რომ იგინი ნაკლებად მსჯელობენ და უფიქრდებიან იმ საგანს, რომელსაც სწავლობენ. როგორ უნდა დაჰფიქრებოდა, როგორ უნდა გადაეხარშა მას ასეთი ვრცელი მასალა ასეთ მოკლე დროს განმავლობაში. ამიტომაც იყო იგი დაუფიქრებელი, მექანიკური შეთვისება, რომელიც არ ასაზრდოვებს არც ტვინსა და არც გულს.

იმავე მდგომარეობაში არიან იმ კატეგორიის მოსწავლეებიც, რომელნიც არ ხარჯავენ ენერგიას, აქტიურ ყურადღებას სწავლის შეძინაზე და პროგრამის სიდიდის გამო ვერ ასწრებენ სხვისგან მხოლოდ ნახევრად გამზადებული ცოდნის გადახარშვას. ასეთი ცოდნა მხოლოდ უცოდინარობაა და ამით აიხსნება ის უეჭველი ჭეშმარიტება, რომ ჩვენს ახალგაზრდობას იმ საგნებისა, რომლებსაც ისინი რვა წლის განმავლობაში სწავლობდნენ, ხშირად არაფერი გაეგებათ. მათს ცხოვრებაში ამ ცოდნას ერთ ყურში გამოუვლია, და მეორეში კი გასულა, ისე, რომ არაფერი სასიკეთო ნაშთი მათ სულსა და გულზე არ დაუტოვებია. ჩვენს მოსწავლეს შერჩენია მხოლოდ „ატესტატი“, რომელიც მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მან რვა წელიწადი დაჰყო სკოლაში. მას ჩვენ ვეძახით განათლებულს და ნამდვილად კი ასეთი ახალგაზრდა შეიძლება უფრო დაბლა იდგეს, ვიდრე ის, რომელსაც სკოლა თავის დღეში არ უნახავს. უკანასკნელი, სხვა რომ არა იყოს რა, არ მეტიჩრობს მაინც თვისი ცოდნით. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი განათლებულების გაუნათლებლობა, სწორედ ამით აიხსნება, რომ უმრავლესი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა ფუჭ ცხოვრებას ეწევა. სხვაფრივ შეუძლებელიცაა, რადგანაც ჩვენი ინტელიგენტი მოკლებულია ყოველივე ნამდვილ ცოდნას, რომელიც სარჩულად ან საფუძვლად უდევს ადამიანის ყოფა-ქცევას და რომელიც ასაზრდოვებს ადამიანის გულსა და სულს.

ძალაუნებურად მაგონდება ერთი ლიტერატურული ტიპი—ლავრეცკი,—რომელიც რუსეთის მწერალს ტურგენევს აქვს დახატული თავის საუკეთესო რომანში „Дворянское гнѣздо“ და რომელიც ჩვენთვისაც საგულისხმო არის.

დააკვირდით ჩვენი ინტელიგენტების ცხოვრებას და იმაში ამოიკითხავთ თქვენ არა უკეთეს თვისებებს: უმთავრესი ნაწილი ჩვენი ინტელიგენტებისა ივანე ლავრეცკის წინ თუ არ გაუსწრებს უკან მაინც არ ჩამორჩება.

ჩვენი დიპლომიანი ახალთაობის აქტიური ყურადღების დაჩლუნგებას, გაუნათლებლობას გონებრივ სიღატაკეს და ზნეობრივ სიმდაბლეს ხელს უწყობს კიდევ ერთი მხარე ჩვენი სკოლისა, რომელსაც, არ შემიძლია აქ უკანასკნელად არ შევეხო.

მოგეხსენებათ ცოდნა, საზოგადოდ მეცნიერება. ერთი რამ მთლიანი და გაუყოფელია, ის წარმოადგენს ისეთ შენობას, რომლის ნაწილები მჭიდროდ არის დაკავშირებული და რომლის დაშორება ერთი მეორესაგან შეუძლებელია ისე, რომ მთელი შენობა არ დაინგრეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ცოდნა კი არა, არამედ ცოდნის ნაწყვეტები. ასეთი ნაწყვეტი ცოდნა ვერასოდეს ვერ დაედება საძირკვლად ჩვენ მოქმედებას და ვერ გამოიწვევს ჩვენში სურვილს წარმატებისას.

დაუკვირვებელი მკითხველი ამ თვალით თუ შეხედავს ჩვენ სასწავლებლებს და კერძოდ გიმნაზიელებს, თითქმის ფრიად სასიამოვნო სურათი დაუდგებათ თვალწინ. ჩვენს გიმნაზიებში მართლაც რომ თითქმის ყველა მეცნიერულ დარგს შეხვდებით: ფსიხოლოგიის, ლოღიკას, ისტორიას, სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის, ფიზიკას, მატემატიკას, ბუნებისმეტყველებას და ბევრ სხვ. ცოტათი მაინც დააკვირდით ზემოჩამოთვლილი საგნების შესწავლის მეთოდს და ჩვენი გიმნაზიების მიზანს, რომ სულ სხვა დასკვნამდე მიხვიდეთ.

ჩვენი გიმნაზია, მაგალითად, თავისი უმთავრესი თვისებებით შორს ვერ წასულა მე-16—17 საუკუნოების გიმნაზიებიდან. მას აქვს დასახული იგივე ფუჭი და გამოუსადეგარი მიზანი, რომელსაც ყოველთვის ისახავდა რეაქციონური სკოლები. ეს მიზანი დისციპლინაა.

თანამედროვე გიმნაზიები ისახავს თავის მიზნად არა იმას, რომ ცოდნა და განათლება შესძინონ თავის მოსწავლეებს, არამედ იმას, რომ გაუვარჯიშონ ტვინი და მისცეს მას შეძლება შეიძინოს ის ცოდნა, რომელსაც მოისურვებენ სკოლის დამთავრების შემდეგ. ტვინის გავარჯიშება კარგია, მაგრამ მხოლოდ ამ ვარჯიშობის მიზნად დასახვა ყოვლად შეუწყნარებელი შეცდომაა. ადამიანის ცხოვრების უმთავრესი პრინციპია, რაც შეიძლება ნაკლები ძალა დახარჯოს და მეტი მოიპოვოს. განა ტვინი, აზროვნება არ ვარჯიშობს მაშინაც, როდესაც მაგ. მე მიზნად ვისახავ მხედველობის შემუშავებას და ამ მიზნისკენ მივისწრაფვი? რასაკვირველია! მაგრამ ჩვენი გიმნაზიები მაინც ასეთ ფუჭს, შემცდარ გზას ადგანან კარგი ხანია.

აი მაგალ., რას ამბობს პეტერბურგელი პროფ. ვედენსკი, რომელსაც ფილოსოფიის კათედრა უჭირავს, თავის ლოღიკის სახელმძღვანელოში: „აღმზრდელობითი გავლენა ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინისა მნიშვნელოვანია მხოლოდ გიმნაზიური თვალთახედვით: უკვე გიმნაზიაში უნდა გაკეთდეს და დასრულდეს ყოველმხრივი გიმნასტიკა-ვარჯიშობა ჭკუისა, უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლენი უნდა მოდიოდნენ საკმაოდ განვითარებულნი, რომ შეისწავლონ მეცნიერება არა ჭკუის ვარჯიშობის გულისათვის, არამედ მისი უფრო უმაღლესი მნიშვნელობისათვის“. რადგანაც აზროვნების საშუალებანი განსხვავდება სხვა და სხვა მეცნიერულ დარგში, ამისათვის გიმნაზიის კურსში უნდა შედიოდეს სხვა და სხვა სივრცით ყველა მეცნიერული დისციპლინა, რომ „მივიყვანოთ მოსწავლე იმ ჭკუის ვარჯიშობამდე, რომელიც შედეგია სხვა და სხვა საშუალების ხმარებისა ამიტომ არის, დასძენს ბ-ნი პროფესორი, რომ საშუალო სკოლას ერთი ან ერთნაირი მეცნიერული დისციპლინით, მაგალითად, მარტო მათემატიკური (არითმეტიკით, გეომეტრიით, ალგებრით, ტრიგონომეტრიით და სხვებით) არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, არამედ გიმნაზიაში შეერთებული უნდა იყოს სხვა და სხვა მეცნიერული დისციპლინა, რომ მი-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 932.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ქალი

ძღვნად ეკ. სარ—ს

როს გავიხსენებ ივერიის დიდებულ წარსულს,
ნეტარ დროს სჭვრეტავს ფრთა-შესხმული ოცნება მალი;
და მითქვამს ნაღვლით აღსავსესა, გულ-დამწუხრებულს:
რატომ იმ ხანად იყო მხოლოდ ქართველი ქალი—
ქალი მხნე მარად, ესდენ მტკიცე ოჯახის კერა,
სულის სიწმინდით, სისპეტაკით ბნელის მქრობელი,
ერის საუნჯე, მოყვარული თვისივ ერისა,
ვაჟკაცთან ერთად მტრის წინაშე ხმლისა მპყრობელი...
ქალი მდიდარი სათნოებით და სიყვარულით,
რომელს სახეზე არ ეფარა ბადე თნევისა,
თვით სთაოსნობდა დიად საქმეს საშვილიშვილოს,
თვითვე ხელთ ეპყრა გამარჯვებულს დროშა ძლევისა.
და, აჰა, განქრა სანეტარო იგი წარსული,
დროთა ბრუნვაში დაუნგრიეს ქართლსა ტაძარი
და ვით მქონოდა მოლოდინი კვლავ შემხვდებოდა
ამ დუხჭირ დროში კვლავ მხნე დედა, სულით ნარნარი?
მაგრამ აღსრულდა! იგი ვნახე თვისის დიდებით,
ვნახე მამულის სიამაყე ქართველი ქალი;
კვალად აღმენთო მე იმედი გულ-გასახარი,
თვალს დაეხატა სხვა მყობადი, სხვა მომავალი.
და ვსთქვი: კავშირი ძველ წარსულთან არ გაწყვეტილა,
სხვა ჟამი გველის, გაღაივლის აწმყო საზარი,
კვლავ განახლებით აღზდგებიან ქართველ დედებში,
ნინო, ქეთევან და სულმნათი დიდი თამარი!

ა. შანშიაშვილი.

როგორც ახლა დანამდვილებით შევიტყე, თავ. ი. ჭავჭავაძეს ეს ბიბლიოთეკა ე. ი. ქაღალდები, წიგნები და აქტები უანდერძნია წ. კ. საზოგადოებისათვის, ალბომი და ქეთევან წამებულის წიგნი კი—ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებისათვის. (წიგნი უკვე გადაეცა სიცოცხლის დროს) ხოლო თავისი მოძრავი ქონება, მისი მეუღლის სიკვდილის შემდეგ, წ. კ. საზ. თელავის განყოფილების საკუთრებად უნდა გადმოსულიყო.

მაგრამ ეს ანდერძი შინაურულად ყოფილა დაწერილი და იურიდიული წესი არა ყოფილა დაცული. ალბად განსვენებული თავ. ილია, როგორც პატიოსანი ქართველი, თავის მახლობლების გულწრფელობას დარწმუნებული იყო, რომ ისინი შეასრულებდნენ მის სურვილს და ამისათვის საკმარისად სცნო ანდერძის უბრალოდ აღნიშვნა.

თავ. ი. ჭავჭავაძეს დარჩა მეუღლე, დაი და ძმა, თავ. ნიკოლოზი, რომელიც აგრეთვე გულმტკივნეულობას იჩენს ჩვენი საზოგადო საქმებისადმი და აკი ძმის სიკვდილის შემდეგ ისეთი შინაარსის დეპეშით აწუგეშა ყვარელის საზოგადოება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პატივცემული პირნი არ გამოეკიდებიან ანდერძის უბრალო ფორმალობას, შეასრულებენ განსვენებულის სურვილს და მის ნაანდერძევს არ გამოსწირავენ ზემოდასახელებულ ქართულ კულტურულ დაწესებულებებს.

დავიწყებული.

სოფ. პატარძეული. (გარე-კახეთი). მაისში იყო დ წვიმამ გააწყალა გული, ახლა კი, ივნისში, ცას ერთი ნამიც არ გაჰვარდნია... ყველაფერი გახმა დ გატიალდა, აქაურობა უდაბნოს დაემგზავსა. ხალხიც დადის „ელიაზე“ და გუგუნ-ღალადისით, წვიმას შესთხოვს განრისხებულ ცას.. თუმცა პატარძეულში, ინტელიგენტთა რიცხვი საკმაოა, მაგრამ, აქაური ინტელიგენცია, ფრიად უზრუნველია ეროვნულ საქმისადმი. ამ სოფელში ერთი ქართული გაზეთიც კი არ მოდის, მიუხედავად იმისა, რომ აქ არც უფულობაა დამნაშავე და არც სოფლის სიშორე ქალაქიდგან, ხოლო ქართული გაზეთის მაგიერად, მრავლად მოდის „ზაკავკაზიე“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „რუსკოე სლოვო“, „ნივა“ და სხვ. ამისთანები. აი რა მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ რიგიან ამბებს და ლიტერატურის თვალყურის დევნებას მოკლებულნი ვართ ქართული გაზეთის უქონლობით. თუ ამისთანა სოფელში ვერ ატანს ქართული გაზეთი, რაღა ვიფიქროთ ზოგიერთ აქეთა მხრის მიყრუებულ სოფლებზედ?!.. **პატარძეულელი გოგია.**

ბაკურიანი. 24 ივნისს, ნამუადღევის 3 საათზე, როდესაც ტყის მცველს გ. სვანიძეს ხე-ტყის გაყიდვიდან აღებული ფული მოჰქონდა ადგილობრივ ტყის სამზრუნველოს კანტორაში, ბაკურიანიდან 1 ნახ. ვერსის მანძილზე მას თავს დაესხა სამი შეიარაღებული უცნობი, რომელთაგან ორი იქვე გზის პირას ტყეში იყო ჩასაფრებული, მესამე კი სვანიძეს მივარდა და ამოაცალა ჯიბიდან ცხრა თუმანი. ბოროტმოქმედებმა რამდენიმეჯერ რევოლვერი გაისროლეს და მიიმალნენ. ეს ამბავი ძალე აქაურობას მოედო. ბორჯომის ბოქაულიც მოვიდა მაძებარ ძაღლებით, მაგრამ ბოროტმოქმედთა კვალს ვერ მიაგნეს.

ეს ერთი კვირაა აქ ყოველდღე მოდის ბუნებისმეტყველთა მე-13 კრების წევრთა სხვადასხვა ჯგუფი. ესენი ალტაცებაში მოჰყავს აქაურ ბუნების სიმშვენიერეს. 26 ივნისს გვესტუმრა ოცდაათი ბოტანიკოსი, რომელთაც ხელმძღვანელობდა მოსკოვ. ს უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი სევერცოვი. მათ დაათვალიერეს ტფილ. საბოტანიკო ბაღის ადგილობრივი განყოფილება და ცხრაწყაროს მთის წვერზე ასვლაც მოისურვეს, მაგრამ უამინდობამ შეუშალა ხელი და მეორე დღესვე ისევ ბორჯომს გაემგზავრნენ.

magister.

მუშათა ცხოვრება

✦ პეტერბურგში, ლაფერმის თამბაქოს ქარხნის მუშები განურჩევლად სქესისა გაიფიცნენ. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

✦ 26 ივნისს, პეტერბურგში, მოხდა კრება პლესინის ბრინჯაოს ქარხნის გაფიცულ მუშებისა. განიხილეს ქარხნის პატრონის წინადადება: მოთხოვნილების რამოდენიმე დაკმაყოფილება და მუშაობის დაწყება. მუშებმა დაადგინეს: განაგრძონ გაფიცვა მანამდე, სანამ მთელი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული.

✦ მექანიკურ ქარხნის „რაბოჩი კრუგის“ მუშები მუშაობას შეუდგნენ. მიღებულია უკანვე ყველა მუშები, გარდა 12 ზეინკალისა.

✦ პეტერბურგის გემების დამტვირთველ გაფიცულ მუშებს კიდევ მიემატა 400 კაცი.

✦ ლანგენზინენის ქარხანა პეტერბურგში აცხადებს, რომ მუშაობა 1 ივლისიდან დაიწყება ქარხანაშიო.

✦ 27 ივნისს მოხდა პეტერბურგის „1886 წლის საელექტრონო საზოგადოების“ ყველა განყოფილების მუშათა კრება. უნდა ამოერჩიათ წარმომადგენელნი ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად. არჩევნები არ მოხდა, რადგანაც ერთი განყოფილების რამოდენიმე მუშა დაუპატიმრებიათ; მუშებმა დაადგინეს: ვიდრე დაპატიმრებულ ამხანაგებს არ გაანთავისუფლებენ, წარმომადგენელნი არ აირჩიონ.

✦ გაფიცვის გამო ლოძში დაიკეტა ოსსერის საქსოვი და აიზენბრაუნის ქარხნები, სადაც 1.200 კაცი მუშაობდა.

✦ საელექტრონო განათების საზოგადოებაში გაიფიცნენ შემდეგი განყოფილებები: ვასილ ოსტროვისა, ქალაქისა, ვიბორგისა, ლესნოვსკისა და შუვალოვსკისა. ადმინისტრაცია შტრეიკბრეხერებს ეძებს. ქარხანაში რამდენიმე ახალი და ძველი მუშები მიიღეს. ვასილიევის კუნძულზე დაიწყო მუშაობა მორიგმა მანტიორმა მენშიკოვმა შუვალოვოში მუშაობს ახალი მანტიორი გუსევი, რომელიც წინად გელიოსის ქარხანაში მუშაობდა. ადმინისტრატორები სცდილობენ გადასცენ სამუშაო მოიჯარადრეებს ვერნიკს, გავრილოვს და ოსიპოვს. მუშების სულიერ განწყობილება კარგია. ადგილები და სამუშაოები ბოიკოტის ქვეშ არის გამოცხადებული.

✦ გაფიცვა ვეფერსისა, კიბბელისა, შვარცისა, მარქსისა და გოლიკეს ლიტოგრაფიებში გრძელდება. უკანასკნელმა მუშების დაპატიმრებამ ვერ გასტეხა მუშათა კავშირი. მარქსის ლიტოგრაფიის მუშეს შეურთდნენ კრიმოვის ქარხნის მუშებიც. კიბბელის ლიტოგრაფიის უფროსმა ხელოსანმა თხოვნით მიმართა მუშებს გამართათ მოლაპარაკება, მაგრამ მუშებმა უარი განაცხადეს უფროსის თხოვნაზე.

✦ ვასილიევის კუნძულის სამეტალურგიო ქარხნის მუშებმა განიხილეს საკითხი ლესნეროვის ქარხანაში მომუშავეთა მატერიალურ დახმარების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მუშებმა გადასწყვიტეს გაიღონ თავიანთ ამხანაგების სასარგებლოდ დღიური ხელ-ფასი.

✦ ლანმანზიპენის თუჯის-სადნობისა და მექანიკურ ქარხანაში გაფიცვა გრძელდება 16 დღეს. ადმინისტრაციამ გამოაკრა განცხადება, რომლითაც იწვევდნენ მუშებს ემუშავნათ ძველ პირობებში იმ მიზნით, რომ დაერღვიათ მუშათა ერთსულოვნება და კავშირი.

✦ სიხვონენის სპილენძის სადნობ ქარხნის მუშებმა ქარხნის პატრონებს წარუდგინეს მოთხოვნილება, რომლითაც თხოულობდნენ ხელფასის მომატებას (35 პროც.) ქარხნის პატრონმა მოთხოვნილება დააკმაყოფილა. გრძელ სამუშაო დღის შესახებ პატრონმა განაცხადა, რომ „ჩემთვის სულ ერთია, თუნდ 8 საათი იმუშავეთო“.

კახეთის რკინის გზაზე

(ნავთლუღიდან ვაზიანამდე)

შარშან ამ დროს ადგილობრივი მუშების ჭაჭანებაც კი არ იყო კახ. გზ. ამ ნაწილზე, განსაკუთრებით ათვალისწუნებული ჰყავდათ ქართველობა. მუშაობას აწარმოებდნენ ჩრდილოეთიდან გადმოყვანილნი უცხო მუშები. მაგრამ განვლო დრომ და სინამდვილემ დაარწმუნა მოიჯარადრეები, რომ „ეშმაკი არც ისე საშიში ყოფილა, როგორც გაიძახოდნენ“. ხელ-ნელა ადგილობრივმა მუშებმაც მოიკიდეს ფეხი გზის ამ ნაწილზე და ისე მაგრადაც, რომ წელს ოთხი მეხუთედი ადგილობრივი მუშებია, მათ შორის უმრავლესობა ქართველობაა ახლო-მახლო სოფლებიდახ. მაისის გასულამდე დღიური მუშის ხელფასი არ აღემატებოდა 70—80 კ. ხოლო ამ ჟამად 1 მ. 10 კ.—1 მ. 20 კ. აძლევენ, მაგრამ მაინც ვერ შოულობენ საკმაო რიცხვს ადგილობრივი მუშებისას, ვინაიდან ამ თვეებში მუშა ხელი თვით ოჯახს სჭირია.—გზის ამ ნაწილზე მუშაობას აწარმოებენ ბ.ბ. გრინბერგი და სლუცკი. პირველი მთავარი მოიჯარადრეა, ხოლო მეორე ამ მთავარი მოიჯარადრის „რიადჩიკია“, რომელსაც 25 ვერსის მანძილზე სათავიდან (ნავთლუღი) აქვს აღებული მიწის აყრა-წაყრა. ხიდებს კი თვით მთავარი მოიჯარადრე აშენებს.—როგორც პირველი, ისე მეორე ამ ორ თვეში დაამთავრებენ თავიანთ სამუშაოს გზის ამ ნაწილზე. დანარჩენ სამუშაოს, ე. ი. ხიდებზე რკინის ნაწილების გამართვას, ლიანდაგის დაგებას, ტელეგრაფის გაყვანას და სხვ. თვით გზის მმართველობა აწარმოებს სამეურნეო წესით, რაც უეჭველია, ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება როგორც მუშებისათვის, აგრეთვე წვრილ მოიჯარადრეებისათვისაც.

ს. ე—ვა.

უცხოეთი

რუმინიელთა ჯარი.

ეხლა-ხან, როდესაც რუმინიის ჯარი მზად არის გადავიდეს ბულგარეთის სამზღვარზე, საინტერესოა ის ცნობები, რომელიც შეეხება რუმინიის ჯარს. რუმინიის ჯარის რაოდენობა მშვიდობიანობის დროს 90,000 ათასით აღირიცხება, მაგრამ თუ ომი შეემთხვა, მას შეუძლიან ეს რიცხვი ჯერ 230,000 ასწიოს და სამიკვირის შემდეგ კი 450,000 აიყვანოს. მთელი ჯარი ხუთ კორპუსად არის გაყოფილი, თითო მათგანი 3 დივიზიისაგან შესდგება. სულ 202 ბატალიონი ქვეითი ჯარისა, 83 ცხენოსანთა ესკადრონი და 138 ბატარეია. რუმინელთა შეიარაღება სრულიად შესაფერისია თანამედროვე სამხედრო ტეხნიკისა. ქვეითა ჯარს თოფები აქვს მანლიხერის სისტემისა, რომელიც შეძლებას აძლევს ჯარისკაცს თან წაიღოს 160 ტყვია. ზარბაზნები ახალი სისტემისა აქვთ. აქვთ აგრეთვე ტყვიის მფრქვეველნი. რაც შეეხება აფიცერთა შემადგენლობას, სჩანს, ძალიან კარგად არის დაყენებული ეს საქმე. ავსტრიელები რუმინიის ჯარს საუკეთესო ჯარად სთვლიან მთელს ბალკანეთზე და აღნიშნავენ, უბრალო ჯარის კაცთა და მხედართა კარგ მომზადებას. ბევრს მათგანს ავსტრიაში აქვთ უმაღლესი სწავლა მიღებული. რადგანაც რუმინიის ჯარი ამ ბოლო დროს გაძლიერებულს სამშიდობო კომპლექტს შეადგენდა, ამიტომ უეჭველია, დღეს 230.000 კაცი იქნება მთელს ჯარში და მალე, თუ საჭირო ქინა, 200,000 კაციც მიემატება.

„შრომის საერთო კონფედერაციის მანიფესტი“.

ამ უკანასკნელ დროს სინდიკალისტების დაპატიმრების გამო „შრომის საერთო კონფედერაციამ“ მანიფესტი გამოსცა, რომელიც ასე იწყება: „შრომის საერთო კონფედერაცია მედგრადა სდგას“. იგი აუწყებს ამხანაგების დაპატიმრებას, ლაპარაკობს მთავრობის განზრახვაზე და შემდეგ დასძენს, რომ იგი კვლავ იმოქმედებს ისე, როგორც წინადაც „მინისტრები იცვლებიან, შრომის კონფედერაცია კი მუდმივია და ვითარდება. ხუთი წლის წინად, ვილნევ-სენ-აგორაჟში მომხდარ მკვლელობის მეორე დღესვე მრავალი დაატუსაღეს. მაგრამ მესამე თვესვე მთელი ბრალდება საცოდავად დაიფუშა. აგრეთვე ხდება ეხლაც, რადგანაც არ არის საბუთი, დამამტკიცებელი ჯარის კაცთა ამბოხების და „Sou du soldat“-ის ორგანიზაციის კავშირისა. მუშათა კლასის ძლიერი სიმპატია „შრომის საერთო კონფედერაციისადმი“ დაჰსცინის მიღებულ ღონისძიებათ და მუქარას. ესენი, მხოლოდ ერთხელ კიდევ ამოწმებენ, რომ არაფერს არ შეუძლიან შეაჩეროს მისი მოქმედება, ქადაგებდა ორგანიზაციათა მოწყობა. მთავრობის ღონისძიებანი იგვიანებენ. სამხედრო ბეგრის მოხდის სამი წლის ვადამ ისეთი წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც ვერავითარი მუქარა და შიში ვერ შესძლებს დასძლიოს.

რუსეთი

ახალი „მკლავაძე“.

სახელმწიფო სათათბიროს წევრს სკობოლევს მიუღია სიღნაღის მაზრის ერთი ამომრჩევლისაგან თხოვნა. ამომრჩეველი სთხოვს დაეხმაროს გადმოსახლებულთ და მოაშოროს თავიდან ვინმე ი. ა. დზიუბა, რომელიც წინად ყარაიზის ველის სახაზინო ტყის მეთვალყურედ ყოფილა, ახლა კი გადმოსახლებულთა დასახლების გამგეთ არის სიღნაღის მაზრაში. დზიუბა მოითხოვს, [illegible] გლეხთაგან რომ იგი „კეთილშობილად“ მოიხსენიონ, გარს ახვევია ჯაშუშთა ამალა, ჰსცემს დარაჯებს უდანაშაულოდ და ზოგს აჯილდოვებს „გულმოდგინეობისათვის“, რომელსაც მოისურვებს იმ ნაჭერ მიწას აძლევს დარაჯებს და თავის ნათესავებს. ერთდროს სამხედრო ეპოლეტები გაეკეთებინა, მაგრამ ერთი მხედრის წინადადებით მოიხსნა. თავის დარაჯებისა და ჯაშუშების თანხლებით დზიუბა დაიარება სოფელ-სოფელ და ქეიფობს. თუ დზიუბას მოეწონა რომელიმე გასათხოვარი, ან გათხოვილი ქალი, ყოველ ღონეს იხმარს, რომ გააუპატიუროს და თუ წადილი გაუმართლდა, აჯილდოვებს იმ ოჯახს, რომელსაც მისი ვნების საგანი ეკუთვნის, ან მიწას მისცემს, რისთვისაც სხვას უნდა წაართვას ეს მიწა. თუ ვერ მიაღწია მიზანს, დზიუბა ჯავრს იყრის ხოლმე. ლოთობს დზიუბა გადმოსახლებულებთან ერთად და ამდროს ჰნებავს, რომ გარშემო ქალები ეხვეოდნენ. ერთხელ დზიუბას ბედმა უმტყუნა: მან დაუწყო აშიყობა ერთ გასათხოვარ ქალს, მაგრამ გლეხები შეიკრიბნენ კეტებითა და წყლის საზიდავი უღლით, შემოესივნენ იმ სახლს, სადაც დზიუბა დაბინავებულიყო და ისე სცემეს დზიუბს, რომ ძლივს ცოცხალი გადარჩა. ძველად დასახლებულებს ვერას აკლებს დზიუბა, მხოლოდ ვინც ახლა ესახლება იმათზე ბატონობს. ბევრი საჩივარი შეიტანეს გუბერნატორთან, გადმოსახლების სამართველოში, მაზრის უფროსთან, ადგილობრივ ბოქაულთან, მაგრამ დზიუბა ჯერ კიდევ მსახურებს და თავის რაინდობას განაგრძობს. საერთოდ გადმოსახლებულთა სახელით სთხოვს ამომრჩეველი დეპუტატს; იშუამდგომლოს, რათა ამ საქმის შესახებ გამოძიება დაინიშნოს. როგორც სატახტო გაზეთი გადმოგვცემს, დეპუტატ სკობლევს გადმოსახლებულთა უწყების გამგის გლინკასათვის მიუმართავს, რომელიც დეპეშით შეჰკითხვია ტფილისის მიწად-მოწყობ სამართველოს რწმუნებულისათვის დზიუბს მოქმედების შესახებ.

თეატრი და ხელოვნება

„სახალხო სახლში“ ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების ძმართველ წრეში დიდი განხეთქილება მოხდა. წლიურ კრებების დროს კრების ზოგიერთმა წევრებმა რეჟისორის **პ. წუწუნავას** მიერ დადგმული „მხატვრული წარმოდგენები“ დაჰგმეს და საჭიროდ სცნეს, რომ სახალხო სახლში სოციალური ხასიათის პიესები იდგმებოდეს. ბ-ნმა წუწუნავამ რეჟისორობას თავი დაანება. ამის გამო სცენის მოყვარეთა ჯგუფმა საერთო კრებას შემდეგი განცხადება წარუდგინა: „ჩვენდა სამწუხაროდ სახ. წარმ. მიმდინარეობა მომავალში იღებს ჩვენთვის არა სასურველ სახეს. სახელდობრ წავიდა ის ჩვენი მასწავლებელი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ შეეძლო შეექმნა მხატვრული დემოკრატიული თეატრი, მით უფრო ჩვენთვის ქართველებისათვის, რომელთაც გვესაჭიროება, ასეთის შექმნა და არა დანგრევა. ამას კი ხელს ვერ შეუწყობთ. რის გამოც ეხლავე ვსწყვიტავთ წრესთან ყოველივე კავშირს. ხელს აწერენ: ნ. ჭანკვეტაძე, ე. ციმაკურიძე, ან. აბელაშვილისა, ბ. ასათიანი, თ. ნორაკიძისა, შ. გოგოლაშვილი, გ. რომანიშვილისა, სოსო რომანიშვილი, ნ. გამრეკელი-ტორელი, ან. ქიქოძე, ა. იმედაშვილი, ყიფშიძე, ყორიაშვილი ფრონისპირელი, ანკარა, სტურუა, ეფემია მესხი, ი. ზურაბიშვილი, დ. გედევანიშვილი და ნინიძე. ამას გარდა წრეს თავი დაანება ძველი გამგეობის ყველა წევრმა: ქ-ნ ე. მესხმა, კ. ჯაფარიძემ, ა. ბებურიშვილმა, ნ. ახმეტელაშვილმა და გრ. აბელიშვილმა. ასე რომ წრიდან წავიდა საუკეთესო მუშაკნი და ძალები. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ბაქრაძე, ქიაზერაშვილი, თავდიშვილი, [illegible], ცაბაძე, მანჯგალაძე, კოპალეიშვილი და გორდეზიანი. ახალ გამგეობის შემადგენლობას აქამდე არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია საერ-

---

ილონ მრავალმხრივი გიმნასტიკა ჭკუისა“ ამიტომაა, დავსძენთ ჩვენ, რომ სხვა და სხვა საგნებს სხვა და სხვა ადგილი უჭირავს და მათემატიკას კი ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი, ამისათვის არის, რომ გიმნაზიის პროგრამა ძლიერ ვრცელი და არეულ-დარეულია. მაგრამ ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ არის დღეს ჩვენს სკოლებში ჭკუის ასეთი ვარჯიშობა? უკანასკნელი ხომ მაშინ ვარჯიშობს, როცა თვითონ მუშაობს და არა ჰყლაპავს ზერელე, ნახევრად სხვისგან დაღეჭილ მასალას? ნუ თუ არ დაკვირვებიხართ იმ ფაქტს ჩვენი სტუდენტობის ცხოვრებაში, რომ ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადარბიან, რადგანაც მოუმზადებლები არიან და უნივერსიტეტის საგნების შესწავლა უძნელდებათ?!

ეს ფაქტები ხომ იმას ღაღადებენ, რომ ჩვენი გიმნაზია მის შემცდარ მიზანსაც ვერ ასრულებს და ჰქმნის სრულიად მოუმზადებელს და თავისუფალ შრომის უნარ დაკარგულ ახალგაზრდებს, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში ოთხი წლის მაგივრათ რვა და ათი წლობით არიან?!

ნუ თუ მტკიცება სჭირდება კიდევ ამ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ჭკუის სიმახვილე არ არის საკმაო იმისთვის, რომ რომელიმე მეცნიერების შესწავლას მოსწავლემ ადვილად მოჰკიდოს ხელი?! ნუ თუ კიდევ გაუგებარია ვინმესთვის, რომ ჭკუის სიმახვილესთან ერთად საჭიროა კიდევ საერთო თეორეტიული მომზადება, რომელსაც ჩვენი სკოლა არ აძლევს მოსწავლეს?!

სწორედ ასეთი მიზნის სიყალბით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენში, გიმნაზია დამთავრებულმა მოსწავლემ არ იცის რომელი ფაკულტეტი აირჩიოს და ხშირად სხვას ეკითხება ამას. რვა წელიწადი დაუყოვნებია სასწავლებელში და მასში არ გაღვიძებულა მიდრეკილება, სურვილი ამა თუ იმ მეცნიერების ღრმად შესწავლისა. მან არ იცის, რა გზას დაადგეს იმიტომ, რომ იმას თავის გემოვნებაც ვერ გამოუკვლევია.

ჩვენი ახალი თაობა, რომელიც ღებულობს სიმწიფის მოწმობას, ასეთი სისტემის გამო მოკლებულია მსოფლმხედველობას, ყოველ იმ გემოვნებას, რომ თავისუფლად ამოირჩიოს რომელიმე გზა. უმთავრესი მოტივი მის მიერ ამა თუ იმ გზის ამორჩევისა არის მხოლოდ ეკონომიური მოსაზრება და სხვა არაფერი. თუ კი ჩვენ ამ დამახინჯებულთა რიცხვში ვხედავთ ორს, ან სამს, რომელნიც გამონაკლისს შეადგენენ, მათ ნამდვილი ცოდნა, განათლება მიღებული აქვთ მხოლოდ შემთხვევით, კერძო პირების ან ოჯახის გავლენით.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ახალთაობის დაწვრილმანებაზე, ზნეობრივად და გონებრივად დაქვეითებაზე. რასაკვირველია, ამის მიზეზი სკოლის ნორმალურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ არის მეორე გარემოებაც, არა ნაკლებ საყურადღებო: მოსწავლის აღზრდის ვალდებულება ფორმალურად გადატანილია სკოლაზე და ფაქტიურად კი საზოგადოებას აწევს კისერზე. როცა უკანასკნელი გატაცებული იყო იდეით, მაღალი პრინციპებით, მაშინ მოსწავლეებსაც ეტყობოდათ წმინდა მისწრაფების, ინტელექტუალური ცხოვრების უნარი, მაგრამ დღეს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება დავარდა, როცა მისი წევრების ინტერესები დაწვრილმანდა, მაშინ, როგორც ვხედავთ, დაეცა ჩვენი მოზარდი თაობაც. დღეს უნდა გამოეჩინა ჩვენს სკოლას თავისი შრომის ნაყოფი და თავისი შემოქმედებითი ძალა, მაგრამ რა უნდა გამოიჩინოს ისეთმა სკოლამ, რომელსაც თავის მიზნად მხოლოდ ვარჯიშობა დაუსახავს, რომელიც არც გონებას უფართოვებს, არც შრომის უნარს, არც ცოდნას და არც რწმენას არ აძლევს თავის მოსწავლეებს.

ამ ვარჯიშობის პირველი შედეგია ის გარემოება, რომ ჩვენ სკოლებში სწავლის სისტემა კი არა, პედაგოგიური ანარქია სუფევს. სწავლობენ ბევრს, მაგრამ რისთვის და რატომ, არავინ არ იცის. ის მადლიანი შენობა, რომელსაც ჩვენ მეცნიერებას ვეძახით, გიმნაზიებში და საზოგადოდ ყველა ჩვენ სასწავლებელში დაყოფილია სხვა და სხვა ოთახებად. ყველა ოთახში ხდება მღვდელმსახურება, მაგრამ ერთ ოთახში მყოფმა, მოსწავლე იქნება ის თუ მასწავლებელი, არ იცის რა ხდება მეორეში. ჩვენი გიმნაზიელის წარმოდგენაში მეცნიერება ერთი და მთლიანი კი არა, სულ სხვა და სხვა ნაირია. მან არ იცის რა კავშირი სუფევს იმ საგანთა შორის, რომელსაც სწავლობს, რადგან ასეთი კავშირის დამყარება არ შეადგენს ჩვენი სკოლის მიზანს. თავი ჩვენს მოსწავლეს ცაყოფილი აქვს სხვა და სხვა უჯრად, სადაც სხვა და სხვა მეცნიერების დარგს ათავსებს; მისი გონება წარმოადგენს უზარმაზარ საღაროს, სადაც ყოვლად უსისტემოდ შეზავებულა სხვა და სხვა ცოდნა. ამიტომაა, რომ ჩვენმა კურს დამთავრებულმა, პირველი შეხედვით თითქოს ყველაფერი იცის, მაგრამ კარგად, რომ კბილი გაუსინჯოთ, გამოვა, რომ ყოველგვარ დადებით ცოდნას სრულიად მოკლებულია. მოკლებულია აქტიურ ყურადღებას, შრომის უნარს, მსოფლ-მხედველობას, ინდივიდუალურ რწმენას, ერთი სიტყვით მოკლებულია ყოველ ვე იმას, რაც სიმბოლოა ადამიანის განათლებისა. და სულიერი პიროვნების ყოფისა. ასეთი მდგომარეობის შემდეგ პოეტის არ იყოს „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა გასაკვირია!“

ი. ლიბერიელი.

თოდ ხელოვნებასთან და კერძოთ თეატრთან.

ანგარიში

სოხუმის სახალხო წარმოდგენების მართველი დრამატიული წრის 1912 წლ. 14 ოქტომბრიდან 2 ივნისამდე 1913 წლ. წარმოდგენა 1-ლი 14 ოქტომ. კვირას: 1) „ბატონი და ყმა“, 2) „მოულოდნელი შემთხვევა“ ფასები: 10 კაპ. 1 მან. შემოსავალი 36 მ. 65 კ. ხარჯი 72 მ. დეფიციტი 35 მ. 35 კ. დამტკიცებულია წრის კრებისაგან 17 ოქტომბერს, დაესწრო 25 წევრი. წარმოდგენა II-რე 18 ნოემბერს, კვირას: 1) „ირინეს ბედნიერება“ 2) „უბედური დღე“ ფასები: 10 კაპ. 1 მან. შემოსავალი 46 მ. 60 კ. ხარჯი 45 მ. 10 კ. დარჩა ფული 1 მ. 50 კ. დამტკიცებულია 21 ნოემბერს, კრებას დაესწრო 22 წევრი. წარმოდგენა III-მე სახალხო, არა მორიგი, ორ სექტემბერს, კვირას: „მეზობლები“. ფასები 20 კ. 1 მ. 50 კ. წრეს როლების ფული 3 მან. დამტკიცებულია 6 დეკემბერს, დაესწრო 21 წევრი. წარმოდგენა IV, კერძო 17 დეკემბერს: „ქართველი დედა“. ფასები 40 კ. 2 მ. 50 კაპ. წრის შემოსავალი ნივთი, ღირებული 2 მან. წარმოდგენა V-თე, 14 იანვარს ნინოობას: „გაბატონებული მსახური“ წარმოდგენა VI სახალხო 9 თებერვალი სალამოს: „დამარცხებულნი“. ფასები 20 კ. 1 მ. 50 კ. შემოსავალი 67 მ. 65 კ. ხარჯი 96 მ. 20 კ. დეფიციტი. 28 მ. 55 კ. უკანასკნელი წარმოდგენა კვირას 2 ივნისს 1913 წ. 1) კრიტიკოსთან, 2) ძუნწი, 3) მოულოდნელი შემთხვევა. ფასები 10 კ. 1 მ. შემოსავალი 151 მ. 50 კ. ხარჯი 98 მ. დარჩა 53 მ. წარმოდგენის გარეთ ხარჯი. პიესების შეძენა 4 მ. 50 კ. ტელეგრამების 7 მ. 35 კ. მესხიშვილის იუბილეის 10 მ. 21 მ. 85 კ.

შემოსავალი წრის წარმოდგენებიდან 305 მ. 40 კ. კერძო წარმოდგ. 10 მ. სულ 315 მ. 40 კ. სულ ხარჯი 333 მ. 15 კ. დეფიციტი 17 მ. 75 კ. წრის თანხა 80 მ. 10 კ. გამოვაკელით დეფიციტი 17 მ. 75 კ. 62 მ. 35 კ. მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტმა გადმოსცა წრეს 75 მ. + 62 მ. 35 კ. = 137 მ. 35 კ. ამ ფულიდან წრეს აქვს ნაღდათ 81 მ. 10 კ. ასალები 56 მ. 25 კ. 137 მ. 35 კ.

ანგარიშის მწარმოებელნი: ი. თურქია, ნ. ცეცხლაძე. წრის ორგანიზატორი ვასო აბაშიძე.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

1 ივლისი.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ რუმინიის ცხენოსანი ჯარი შევიდა სილისტრიაში, დობრიჩში, ბალჩიკში და მახლობელ სოფლებში.

ლიუბლიანა. ქალაქის თავად ნამყოფმა გრაბარმა ბულგარელ საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც ბერძნების სოლუნში მოქმედებას პროტესტს უცხადებდენ, დეპეშით უპასუხა, რომ სლავიანელთა საზოგადო აზრი ერთსულოვანად ზრახავს ბერძნების ბარბაროსულ მოქმედებას, მაგრამ უფრო მეტი მწუხარებით ჰკიცხავენ ბულგარეთის მთავრობის ბოროტმოქმედ საქციელს, რომელმაც ძმათა შორის ომი გამოიწვია.

ბელგრადი. პრეს-ბიურო იტყობინება: ბელგრადში მყოფი რუსის ელჩი გარტინგი თავის მთავრობის წინადადებით, ღონისძიებას ხმარობს, რომ შეტაკება მოისპოს და მშვიდობიანობაზე ლაპარაკი ჩამოაგდოს.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება, რომ ხმები გავრცელდა ვითომც ვენიზელოსი და პაშიჩი ნიშაში ერთმანეთს ინახულებენო.

ვენა. „მილიტერიშე-რანდშაუ“ იუწყება, რომ კორაბიის ჩრდილოეთით იძვრის რუმინიის დიდი ჯარი.

ბუქარესტი. მთავრობა უარჰყოფს გაზეთების ცნობას, ვითომც ბულგარელებთან შეტაკება ჰქონოდეთ რუმინელებს დუნაის გადასვლის დროს.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო აცხადებს: ბელგრადის ცნობები, ვითომც ბულგარეთის ჯარის თანამხლებელნი ჩოტნიკები სოფლებს არბევენო, მართალი არ არის. 27 ივნისს ღამით ბულგარელმა დარაჯებმა დაინახეს, რომ ბერძნების ერთ გემზე აუშვეს შუშხუნა, შემდეგ პროჟექტორით გაანათეს საბერძნეთის ელჩის სადგომი, ელჩის სახლიდანაც სანთელის შემწეობით ანიშნებდნენ გემს. მეორე დღეს ელჩის სადგომი გასჩხრიკეს, აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი და საჩვენებელი მასალები. ელჩი სამართალში მისცეს.

ათინა. სამხედრო სამინისტროს ატყობინებენ მთავარ სადგომიდან: მტერი თან და თან კრესნასა და პეჩევოს უღელტეხილისაკენ იწევს. ბერძნები წინ მიდიან. ყოველგან გზაზე ვპოულობთ იარაღსა და სურსათს მტრისაგან დატოვებულს. ვიპოვეთ 400 ურემი სურსათი უმავთულო ტელეგრაფის მოწყობილება, სადოსტაქარო ნივთები, რომელიც იშნიბიდან გაქცეულ ჯარს ეკუთვნის. ამ ჯარმა დაჰკარგა 26 ზარბაზანი და ყველა სურსათის გადამტანი ურმები.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: მთავარი სადგომის ცნობით, პირველი მიზანი ბულგარელებისა ბერძნებისა და სერბიელების წინააღმდეგ ის იყო, რომ დაგვეჭირა ის ტერიტორიები, რომელნიც ოსმალეთს წავართვით და რომელნიც ბულგარელებს უნდა ჰრგებოდათ და ბულგარეთის სამეფოს დაცვა სერბიელთა ჯარის შემოსევისაგან. ბულგარეთის მთავარი შტაბი, მხოლოდ ამით ხელმძღვანელობდა. სერბიელების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი მეშვიდე რაზმი იბრძოდა, რომელმაც აქამდის და ეხლაც სახელოვნად შეასრულა თავისი დანიშნულება, წინაღუდგა სერბიელების დაჟინებულ წადილს. დანარჩენი ჯარი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. შემდეგ სააგენტო აღნიშნავს ბულგარელების მდგომარეობას, შეტაკების შედეგს და უარჰყოფს იმ ცნობებს, ვითომც ბულგარელები მარცხდებიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

1 ივლისი.

უცხოეთი.

სტამბოლი. როგორც იტყობინებიან ჯარის უმეტესობა წინააღმდეგია ახალი ომიანობისა. მხედრები პროტესტს აცხადებენ და აღნიშნავენ, რომ მათი ოჯახები შიმშილს განიცდიან სიღარიბის გამო. ჯამაგირი უკანასკნელად მარტში მიიღეს.

მონბრიზონი. პარიზის პრეფექტად ნამყოფი ლეპინი დეპუტატად აირჩიეს.

ლონდონი. როგორც იუწყებიან ჩრდილო და სამხრეთ ჩინეთის შორის განხეთქილებამ უმწვერვალესობას მიაღწია. რეიტერს ცზუნცზენიდან ატყობინებენ, რომ ჩრდილოელ ჯარის რაზმი შემოვიდა ქალაქში, რამაც ადგილობრივი ჯარი შეტაკებისათვის გამოიწვია. „დეილი-ტელეგრაფს“ პეკინიდან ატყობინებენ: 10 ბატალიონმა პროვინციის ჯარისამ დაიჭირა თვალსაჩინო სიმაგრეები ხუოკოუსი და ცუნიახუს ტბის შესავალი.

რუსეთი.

პეტერბურგი. 13 ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი მდივანი დაინიშნა ხელმწიფე იმპერატორთან ფლიგელ ადიუტანტად.

პეტერბურგი. გზათა სამინისტრის ჰსწადიან, რომ მესამე კლასის მგზავრთა მიაწოდოს საგზაო სურსათი მატარებლებში და ითხოვს ამის გამო 20.000 მან თანხის სასადილო ვაგონების გასამართავად.

მოსკოვი. სამხედრო სასამართლომ თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯა პოდპორუჩიკ ხმელევსკის თავის საყვარლის პერესლავცევის მოკვლისათვის.

ოდესა. 2 ივლისიდან რუსის გემთა მიმოსვლის საზოგადოებამ დაიწყო მიღება და გადაცემა კერძო ხასიათის რადიოგრამებისა (უმავთულო ტელეგრაფით დეპეშების გზავნა). დეპეშები მიიღება შავ-ზღვაზე ყველა მოცურავ გემებიდან, სამხედრო სარადიოტელეგრაფო სადგურის შემწეობით.

არხანგელსკი. იწვის სახაზინო ტყე.

პოლტავა. გაიხსნა ილიინის იარმარკა.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზ. „ნაშა ზარია“-ს 4 და 5 ნომრები.

ვილნა. გაზეთის ცნობები სახელმწიფო ბანკზე თავდასხმის შესახებ სინამდვილეს არ ეთანხმებიან. ნამდვილად ასე იყო: პოლიციამ დააპატიმრა სამი კავკასიელი ხაზინის ახლოს და ამათი ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს საჭრელი იარაღი. ცნობა ურიების საწინააღმდეგოდ ტერორის შესახებ ტყუილია.

არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ეს მცირედი წვლილი 2 მ. მიუმატოთ დიდებული პუბლიცისტის, არჩილ ჯორჯაძის ძეგლის დასადგმელ თანხას.

ალფეზ დავითულიანი და ასლან სოხაძე.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) მღვდელმა გრიგოლ სონღულაშვილმა (ერწოდან)—ყაჯარი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი. 2) თამარა ამბროსის ასულმა ხელაშილისამ: ა) აბრეშუმის სარტყელი, აბრეშუმის ძაფით და სირმით მოქარგული, ბ) აბრეშუმის სარტყელი, ამბრეშუმის ძაფით ნაქარგი და გ) აბრეშუმის გულისპირი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი. 3) მარიამ ვახტანგის ასულმა თრბელიანისამ: ა) თეკლე ბატონიშვილის (ერეკლე მე-II-ის ასულის) სურათი ფერადებით ნახატი და ქირმანის შალის სარტყელი. 4) გიორგი იოსების ძემ ყავრიშვილმა: თოფის ლულა ვერცხლით მოჭედილი. 5) ბართულმეოს ნერსესის ძემ მაგაკოვმა: ზარნიშიანი თოფი. 6) მღვ. იოსებ ჩიტაძემ: ოთხი თეთრი და თორმეტი შავი ფული. 7) ექიმმა ნიკო გაჩეჩილაძემ: აწყურის მიწაში ნაპოვნი ორი დიდი და სამი პატარა რგოლი ბრინჯაოსი. 8) ანასტასია იოსების ასულმა ფირალაშვილის ქვრივმა: მარმარილოს პატარა ყუთი. 9) ბასილ ქრისტეფორეს ძემ ციცქიშვილმა: ექვსი შავი ფული (მათ შორის ოთხი ერეკლე მე-II-სა და ერთი გიორგისა). 10) გერასიმე სოფრომის ძემ იმნაიშვილმა: მძივებით მოქარგული ყამჩი და დამბაჩის ლულა. 11) მიხეილ ქაიხოსროს ძემ ყიფიანმა: ორი თიხის ქურქელი (ნაპოვნია მუღანის შუა სარწყავის არხის გაყვანის დროს. 12) პლატონ ქრისტეფორის ძემ აბულაძემ: ა) ორი ავგაროზი ქართული და სომხური და ბ) ორი თეთრი და ერთი შავი ფული. 13) სვიმონ არჩილის ძემ ციციშვილმა: ა) ხატის ფარდა და ბ) სხვა და სხვა საბუთი რუსული და ქართული. 14) დავით ყარამანის ძემ ნაცვლიშვილმა: ა) შუბის პირი, ბრინჯაოსი, ბ) ისრის პირი ბრინჯაოსი და გ) ცხრა რუსული თამასუქი. 15) ქალაქ ახალციხის მაზრის ექიმმა, ივანე გაბრიელის ძემ ასათიანმა: ა) თორმეტი გაქვავებული სხვა და სხვა ჯიშის ლოკოკინა (ნაპოვნია სოფელ ხაკის და აბის შუა, ახალციხიდან ოთხი ვერსის მანძილზე) და ბ) გაქვავებული ხეები (ნაპოვნია აჭარაში). 16) ივანე იოსების ძემ იოსებაშვილმა; ა) თხელი ნარმის წინსაფარი, ფერადი ძაფითა და ოქრომკედით ნაქარგი (უმარილის კეთების დროს წინსაფარებელი) და ბ) ძველებური ყალამდანი. 17) თ. ილია ივანეს ძემ მაჩაბელმა: ა) კაკო ყაზბეგის (ალ. ყაზბეგის დედის) ხელით ნაქსოვი თივთიკის ჩაბალახი და ბ) ორი ძველებური თეფში. 18) ილია გრიგორის ძემ კარგარეთელმა: ა) ალექსანდრე მაკედონელის თეთრი ფული, ერთაწმინდაში ნაპოვნი (საზოგადოებას გადმოსცა დეკ. კორ. კეკელიძემ). 19) ივანე გიორგის ძემ ციციშვილმა: ძველებური „ვიველკა“ ქართველი მეიარაღის (ქ. გორიდან).

საზოგადოება გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საბ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

მცხეთაში: № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საბ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** – პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფომინა-თხიპთაძისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჯანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ: ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. ზედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მიახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

ქემო ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

გ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½- 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ დ. გურგენიძე. 1 2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6–7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. აველტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **გ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
დრამატიული თხზულებანი:

ამეგრელოს მთავარი ლევან	40 კ.
ფიქრები, დრ. 5 მოქმედ.	5 ,,
ქრისტინე, დრ. 5 მოქმ.	20 ,,
ღალატი, ნათარგმნი გ. ყიფშიძისა	50 ,,
,, ,, ნ. ავალიშვილისა	1—25 ,,
,, ,, კ მესხისა	25 ,,
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქმედებად	30 ,,
წყურვილი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,
ჟან და მადლენა მირბო.	20 ,,
ექიმი აშირბაჟიანი, ტრ. რომ. ფ.	20 ,,
დასჯილნი, სამ მოქმ.	40 ,,
ცხოვრების ნაწყვეტი	15 ,,
ამხანაგი, დრამ. 4 მოქმ.	25 ,,
ანტიგონე, სოფოკლესი	20 ,,
უმანკონი, დრ. 5 მოქმ. გ. ხეჩუაშვილისა	25 ,,
კუდიანი ვარსკვლავი, კომ 1 მოქმ.	5 ,,
სოფლის გმირები, დრ. 4 მოქმ.	25 ,,
სამშობლოს ბურჯნი, 2 მოქმ.	10 ,,
მოულოდნელი შემთხვევა, ვოდ. 1 მოქ.	15 ,,
გამხმარი ფოთოლი, შიუკაშვილისა	20 ,,
მეორე კაენი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,

მიღებულია ახალი წიგნები:

გვირგვინი, კ. მიქელაძის სახსოვრად	1 მან.
მზის სიცილი, აბაშელის ლექსები.	50 ,,
საბავშვო თეატრი, „ჯეჯილის“ გამოც.	10 ,,
კიკოლიკას ნაამბობი, აკაკი	20 ,,
ბერუა ქრისტესიაშვილი, ლომოურისა	10 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35°/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
„ხმა კახეთისა“-ზე

გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით: 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის განყ. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის“ კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში, თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში კოლა დარაშვილთან, ვაქირში მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბისხევში—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში— ალექს. ჯანყარაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძის მაღაზიაში, საქობოში—სიკო იაშვილთან, ზაქათალაში—ბლად. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. ◆ **გაზეთის დასაკვეთი ფასი და** სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა **გამოიგზავნოს** Сигнахъ К. І. Ткавздзе. 1370

◆ გამოსულია და იყიდება ◆
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე.
(წელიწადი მეცხრე).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:
მცირე წლოვანთათვის ◆ მოზრდილთათვის
24 წიგნი. ◆ 12 წიგნი.

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ◆ **„ბიძია თომას ქოხი“**, ◆ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქილკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და კონსერვები.

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების ხილეული, სამკურნალო და მინერალური



წყალი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„М. ЛАГИДЗЕ“.

ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151. 1214

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.